საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციონ პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 300,000 მ.; უკანასკნელზე 200,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 191

ხუთშაბათი, აპრილის 13

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.



დამწუხრებულნი მშობლები მღვდელი სპირიდონი და ვარდო იოსების ასული, და და ძმები: აგრაფინა, მელქისედეკი, სევერიანე და ივანე; რძლები: მარია მინას ასული და პოლმანოდი ყირიმის ასული კანდელაკები; ძმისწულები და დისწულნი: ოთარი, თენგიზა, მარო და სიძე მიხეილ ნიკოლოზის ძე ტიმოფეევი აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, პირველნი საყვარელ შვილის, მეორენი ძმის და მესამენი ბიძის სახელმწიფო უნივერ. საექიმო ფაკულტეტის მე-IV კურ. სტუდენტი

აბიათარ (აბო) სპირიდონის ძე

კანდელაკის

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდები საკუთარ ბინაზე, დავითის ქ. № 5 ბ. № 4 ყოველ დღეს, საღამოს 5 საათზე. გამოსვენება და დასაფლავება ივერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ხუთშაბათს აპრილის 13-ს, დღის 4 საათზე.

246



პარასკევს აპრილის 14 ს საღამოს 6 საათზე

სახელმწიფო ოპერის შენობაში შედგება

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის, ტფილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის პლენუმის, საქართველოს პროფესიონალურ კავშირის პლენუმის საქარხნო კომიტეტების და ტფილისის გარნიზონის წარმომადგენლების

შეერთებული საზეიმო სხდომა

დღის წესრიგი: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი

თ. კალანდაძე.



დაიბეჭდა და იყიდება

ლექსები. მეორე ტომი.

ი. გრიშაშვილი

ქ. შ. წ.-კ. მაღაზიაში. განათლების კანტორაში. სტუდენტთა კოო—ში.



განცხადება

ორშაბათს, 17 აპრილს, საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის კავშირი

საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ

სასახლის ბაღში

(რუსთაველის ქუჩა)

მართავს

დიდ სეირნობას

სეირნობა დაიწყება 4 საათიდან.

სეირნობის შემდეგ გაიმართება კონცერტი სახელმწიფო ოპერის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

შესრულებული იქნება თამარ წერეთლის მიერ ბოშების რომანსები, ქართული ხორო შეასრულებს ნაციონალურ კოსტიუმში ქართულ სიმღერებს.

სეირნობის დროს დამსწრეთათვის იქნება გამართული ლოტარეია-ალეგრი, ილუმინაცია, მაშხალა და მოწყობილი რადიო-ტელეგრაფი, ტელეფონი, ფოსტა, ბენგალის ცეცხლი, განათებული შადრევანი და ბუფეტი საუკეთესო კახეთის ღვინით და სასმელებით.



განცხადება

პარასკევს, 14 აპრილს, დილის 10 საათზე პირველი ქალაქის საავადმყოფოს ეზოში (წინანდალის ქუჩა № 6)

საჯაროდ გაიყიდება

მიცვალებულებისაგან დარჩენილი ტანისამოსი და ნივთები.

საავადმყოფოს ზედამხედველი მანიაკა. 247


## ბერლინის კონფერენცია და რეფორმისტები

ჰანნოვერიდან და ნაუენიდან მოსული ცნობით, ბერლინის სოციალისტური კონფერენცია დაღებითად დამთავრდა და არჩეულ იქმნა სამ-სამი წარმომადგენელი ყოველ ინტერნაციონალიდან იმ კომისიაში, რომელმაც უნდა მოიწვიოს ახალი ფართო სოციალისტური კონგრესი. ამ გვარად, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, თითქმის ყველა საკითხებში, ინტერნაციონალის აღმასრულების წარმომადგენლებმა მონახეს ერთი საერთო ენა და ნიადაგი ჩაუყარეს შემდეგისათვის შეთანხმებულ მუშაობას. შემათანხმებელი პლატფორმა წამოაყენა ვენის ორნახევარმა ინტერნაციონალმა და მარჯვენიდან (მეორე) და მარცხნიდან (მესამე) ხელი მოაწერეს ამ დეკლარაციას. პლატფორმის დაწვრილებითი შინაარსი ჯერ არ არის ცნობილი. ცნობები მხოლოდ ნაწყვეტნაწყვეტად გადმოგვცემენ საერთო ლოზუნგების შინაარს. ორნახევარი ინტერნაციონალის წარმომადგენლის აღლერის წინადადებით გადაწყდა აპრილის 20-ს მოახდინონ შეერთებული დემონსტრაციები საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად, რვა საათის სამუშაო დღისათვის, რუსეთის რევოლუციისა, დამშეულთა დასახმარებლად და რუსეთთან ურთიერთობის დადგენისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიცით დაწვრილებითი შინაარსი შეთანხმებისა, ჩვენ შეგვიძლია გადაჭრით ვაღიაროთ, რომ კონფერენციის მიერ მიღწეული შეთანხმება ძლიერ დიდი წონის არის და მას აუცილებლად საკმაო პრაქტიკული და მორალური შედეგები მოყვება.

თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და ის ობიექტიური პირობები, რომელიც შეიქმნა მუშათა კლასისათვის და მთელი მშრომელი მასისათვის, აუცილებლად მოითხოვდა პროლეტარული ფრონტის გაერთიანებას, მათი ერთი საერთო პროგრამის გარშემო შემოკრებას. მართალია ამ პროგრამას კიდეი შეეკვეცა მეორე ინტერნაციონალის მოღალატური პოლიტიკის წყალობით და არ მიეცა სავსებით ის შინაარსი, რომელიც საჭირო არის დღევანდელი ვითარებისათვის, მაინც მუშათა მასების გაერთიანების საქმეს ნიადაგი ჩაეყარა და ის თანდათანობით უნდა მივიდეს თავის ლოღიკურ დასკვნამდე. დღეს პროლეტარული მასა ირაზმება „ლუკმა პურის" გარშემო, წარმავალი და ყოველ დღიური მოთხოვნილებებისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნილებები თანდათან უნდა გაფართოვდეს, გაღრმავდეს და მშრომელთა რიგები შეთანხმებულად უნდა გამოვიდნენ პოლიტიკური ძალა-უფლების დასაპყრობად, პროლეტარიატის დიქტატურის განამტკიცებლად. ეს იქნება დასაწყისი კაპიტალისტური კულტურის დასასრულისა მთელს მსოფლიოში. ამჟამად ამ ლოზუნგითა და პროგრამით გამოდიოდა მხოლოდ მოწინავე ნაწილი, მუშათა მასებისა, მხოლოდ მისი ავანგარდის მცირე ნაწილი და მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა მან მეტის მეტად მნიშვნელოვან რეზულტატებს მიაღწია საერთო მაშტაბში. და როდესაც ამ პროგრამის გარშემო შეერთებული ძალღონით შემოკრბება მთელი რიგები პროლეტარულ მასებისა, იმპერიალისტური ევროპა უძლური იქნება მუშათა გაერთიანებული ფრონტით შემოტევას წინააღმდეგობა გაუწიოს და ბატონობის სარბიელს დაუთმობს ახალი წყობილებისათვის მებრძოლს ჯანსაღ ელემენტებს. გაერთიანებულ პროლეტარულ ფრონტის პოლიტიკაც აქეთკენ არის მიმართული და იგი ნელის, მაგრამ გაბედულის ნაბიჯით ჰქმნის ნიადაგს პროლეტარიატის მთლიანად დასაპირისპირებლად კაპიტალის წინააღმდეგ მსოფლიოს მაშტაბში.

მაგრამ გაერთიანებულ ფრონტის იდეა მარტო ამ დიდი მიზნებით არ ამოიწურება. მას აუცილებლად დიდი მნიშვნელობა ექნება თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ვითარებაში. ინტერესთა წინააღმდეგობითა და შეურიგებლად დაქსაქსულ კაპიტალისტების მსოფლიოს კვლავ უპირისპირდება გაერთიანებული პროლეტარული მასა. აქამდე კაპიტალისტურმა ქვეყნებმა საკმაოდ ისარგებლეს მუშათა კლასის დაქსაქსვითა. 1918—21 წლების რევოლუციონერი გამოსვლები და კრიზისი გაბატონებულმა კლასმა რეფორმისტების დიდი დახმარებით გადაიტანეს. არ ყოფილა ისეთი ისტორიული ღალატი რევოლუციონური მოძრაობის მიმართ, რომელიც ჩაიდინეს აღნიშნულ წლებში მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა, დღეს ევროპაში სულ სხვა გვარი პოლიტიკური კონიუნქტურა იქნებოდა და სულ სხვა გვარ ძალებთან გვექნებოდა საქმე. მაგრამ მეორე ინტერნაციონალის აშკარა ღალატმა და მათმა იარაღით ხელში კაპიტალისტების მხარეზე გადასვლამ გასტეხა რევოლუციონური მოძრაობა და პოლიტიკური ბატონობა ხელშეუხებლად შეუნარჩუნა იმპერიალისტებს.

დღეს პირობები არც თუ ისე იცვლება და მშრომელი მასა, მოტყუებული რეფორმისტების მიერ, თან და თან ფხიზლდება და მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნას ცდილობს პრაქტიკულად. მიუხედავად იმისა, რომ მუშათა გაერთიანებული ფრონტის შექმნას კვლავ ებრძვიან მეორე ინტერნაციონალის გმირები სხვა და სხვა ხრიკებით, მუშათა გაერთიანებას მაინც დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. იმპერიალისტური ევროპა დღეს თავს ვეღარ იგრძნობს თავისუფლად და ყოველ მის მოქმედებას კონტროლის ქვეშ დააყენებს მუშათა მთლიანი ორგანიზაციებს. ამით თვით ევროპის ორგანოების სიღრმეში იქმნება ის რეალური ძალა, რომელსაც შეუძლია პასუხი მოსთხოვოს კაპიტალისტურ მთავრობების ყოველ ნაბიჯს. გარდა ამისა, გენუას კონფერენციის წინ ასეთი დიდი საერთაშორისო ძალის მთლიანად გამოსვლას შეუძლია თავისი დაღი დაასვას კონფერენციის მსვლელობას. გენუამ უნდა გადასწყვიტოს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის საკითხი და გარკვეული სახე უნდა მისცეს ორად გაყოფილი მსოფლიოს დამოკიდებულების საქმეს. მუშათა კლასი ამ საკითხში შეთანხმებულად გამოვიდა და წამოაყენა ლოზუნგი რუსეთთან დამოკიდებულების დადგენისა და რუსეთის რევოლუციის დაცვის შესახებ. კაპიტალისტური ევროპა არ არის შეთანხმებული რუსეთის საკითხში და აქაც მათ შორის თითქმის გადაულახავ წინააღმდეგობათა ზღუდე არის აღმართული. ასეთის პირობებში მუშათა კლასისა და სოციალისტური პარტიების შეთანხმებულად გამოსვლას უნდა მიეცეს არა მარტო მორალური ღირებულების, არამედ დიდი პოლიტიკური ფაქტორის ხასიათიც. გენუამ ანგარიში უნდა გაუწიოს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის მოთხოვნილებას.

მაგრამ არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს მუშათა კლასმა ამ გაერთიანებას იოლად მიაღწია და მის შიგნით არ არსებობდეს განზე გამწევი ელემენტები. მეორე ინტერნაციონალის რაინდები ვანდერველდეს სახითა და მემარჯვენე ორნახევარისტები პოლ ფორის პირით აშკარა შეურიგებელ პოზიციას დაადგნენ და არ სურდათ რაიმე შემარიგებელი ხაზი მოენახათ სოციალისტებს შორის. მათი კატეგორიული მოთხოვნით იქმნა ამოშლილი ლოზუნგებიდან დემონსტრაციები ვერსალის საზავო პირობების უარყოფის შესახებ, აგრეთვე მათივე დაუთანხმებლობის გამო ვერ გავიდა კომინტერნის წინადადება მოეწვიათ გენუას კონფერენციის დათავებამდე საერთაშორისო მუშათა კონფერენცია. აღსანიშნავი არის ის გარემოება, რომ ვერსალის პირობების მხურვალე დამცველად გამოვიდნენ სწორედ გამარჯვებულ ანტანტის მხარეების სოციალისტები; ბელგიელი ე. ვანდერველდე და ფრანგი პოლ ფორი მეტის სიფიცხითა და ენერგიით გამოდიოდნენ ვერსალის ხელშეკრულების დასაცავად. ვანდერველდემ კლასიკური, წმინდა სოციალ იმპერიალისტური აფორიზმიც გადაისროლა: თქვენი მუშებისათვის არის სასარგებლო ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა, თორემ ჩვენი მუშების ინტერესები ამას არ მოითხოვსო.

რით უნდა ავხსნათ უკიდურეს მემარჯვენე სოციალისტების ასეთი პოზიცია? ამას ერთი დიდი მიზეზი უდევს სარჩულად. მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელებს ჯერ კიდევ არ გაუწყვეტიათ კავშირი ბურჟუაზიასთან და ისინი დღესაც კოალიციაში იმყოფებიან გაბატონებულ კლასებთან. ბელგიის სამეფო მინისტრი ემილ ვანდერველდე მთელი თავისი რეფორმისტული იდეოლოგიით ბურჟუაზიასთან ერთად მიემგზავრება გენუაში და ამიტომ მას არ ძალუძს მუშათა გაერთიანების დამცველად გამოვიდეს. ვინაიდან პროლეტარიატის გაერთიანებული ფრონტის შექმნა აუცილებლად მოითხოვს ბურჟუაზიასთან პოლიტიკური კოალიციის მოსპობას, ამიტომ ვანდერველდე მთელი თავისი ძალ-ღონით ებრძოდა ასეთი ფრონტის პრაქტიკულად შექმნის შესაძლებლობას; ამას არ მოითხოვდა ბურჟუაზიის ინტერესები. ვანდერველდემ შესძლო ბევრი რამის მიღწევა, მაგრამ მუშათა გაერთიანებული ფრონტის ჩაშლა ვერ მოახერხა. ბერლინის კონფერენციამ ჩვენ მოგვცა მხოლოდ ჩანასახი მუშათა გაერთიანებული ფრონტისა. და ეს მოხდა იმ გარემოებით, რომ ორნახევარი ინტერნაციონალმა და იტალიის სოციალისტებმა მხარი არ დაუჭირეს მეორე ინტერნაციონალის გვარდიას, რომელთაც საერთოთ ბლოკი შექმნათ კომუნისტების წინააღმდეგ. ისინი იზოლიაციაში დარჩნენ და რომ მთლად არ დაეკარგოდათ ყოველგვარი გავლენა მუშათა წრეებში, როგორც პროლეტარული ფრონტის მოწინააღმდეგებმა, გადასწყვიტეს ტონი დაედაბლებინათ და შეთანხმებული ენით ელაპარაკნათ.

ამ გვარად აშკარა დამარცხების შემდეგ მეორე ინტერნაციონალიც შეუერთდა ვენის ინ—ლის დეკლარაციას. რასაკვირველია, საკითხი ამითი სავსებით არ გადაწყვეტილა და მეორე ინტერნაციონალის გაშორება პროლეტარიატის გაერთიანებულ რიგებში თან შეიტანეს თავიანთი დეზერტირული და რეფორმისტული იდეოლოგია. ამ იდეოლოგიისაგან ისინი ვერასოდეს ვერ განთავისუფლდებიან თავს. მათ მხოლოდ სამარე გაასწორებს. და სწორედ ასეთი კუზიანებისათვის ბერლინის კონფერენციის მოწვევა და გაერთიანებული ფრონტის ჩანასახის შექმნასაც კი ერთგვარად სამარის გათხრას უდრის.

ბერლინის კონფერენციამ ნათლად გამოააშკარავა მთელი იდეოლოგიური

ლობას მოუტანს დაუყოვნებლივ ვაჭრობის აღდგენა რუსეთთან, ვინმე ის პირობები, რომელსაც უყენებენ რუსეთს საფრანგეთი და მოკავშირეები.

**იქნება თუ არა ლენინი გენუაში.**

**ჰანოვერი. 10 აპრილი.** ლონდონში რუსულ წრეებში ამტკიცებენ, რომ ლენინი მიიღებს მონაწილეობას გენუას კონფერენციაში. ამ შესაძლებლობაზე მიუთითებდა ჩიჩერინიც იტალიის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში.

**ბერლინი. 19 აპრილი,** ლონდონიდან მოსული ცნობების თანახმად, ლენინი გაემგზავრება გენუაში კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

**მეორე ბრესტ-ლიტოვსკი.**

**ბერლინი.** „ალგემაინე ცაიტუნგი“ რუსეთის მდგომარეობას გენუის კონფერენციის წინ ახასიათებს შემდეგნაირად: რუსეთის პოლიტიკის კარგად მცოდნე წრეები იმ აზრის არიან, რომ რუსეთმა არ უნდა დაუშვას რომ გენუის კონფერენცია გადაიქცეს მისთვის ეკონომიურ პოლიტიკის მხრივ მეორე ბრესტ-ლიტოვსკად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოიქცევიან რუსეთის პოლიტიკოსები გენუის კონფერენციის გახსნის მომენტამდე, ე. ი. სახელმწიფოებთან უშუალოთ მოლაპარაკების დაწყებამდი. რუსეთისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ გამოცხადდეს ის გენუაში სრულიად უიარაღოდ. ამით ის თავიდანვე არ მისცემს ნებას აღძრან რუსეთის საკითხი თავიანთი გავლენის სფეროების დაყოფის შესახებ. გერმანია ზნეობრივად ვალდებულია, აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, დაეხმაროს რუსეთს, რომ იგი გამოვიდეს გენუას კონფერენციაზე სრულიად თავისუფლად. გერმანიამ ეს უნდა ჩაიდინოს იმიტომ, რომ რუსეთი სრულიად არ უწევს ანგარიშს ვერსალის ხელშეკრულების მე-116 მუხ. და არ სურს ჩადგეს გერმანიის დამარცხებულ სახელმწიფოთა რიგში.

ყოველივე პოლიტიკური ეჭვიანობა გერმანიასა და რუსეთს შორის აცილებულ უნდა იქნას თავიდან. რუსეთი, რათაც არ უნდა დაუჯდეს მას გენუის კონფერენციაზე უნდა გრძნობდეს თავს მტკიცე ნიადაგზე

# უცხოეთი

**ანგორა თანახმაა დროებითი ზავზე**

**რომი, 10 აპრილი.** სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ანგორის მთავრობამ იტალიის ელჩს ოფიციალურად აუწყა, რომ ოსმალ. სახალხო დიდი მეჯლისის მთავრობა ღებულობს წინადადებას დროებითი ზავის შეკვრაზე. მაგრამ ფიქრობს თუ, რომ ბერძნები არ შეუდგებიან ოსმალეთის ტერიტორიის ევაკუაციას, ეს გარემოება ოსმალეთს მისცემს ინიციატივის უპირატესობას სამტრო მოქმედების განახლებლად. ანგორა საზავო მოლაპარაკების პირობად აყენებს ბერძენთა მიერ ოსმალეთის მიწების ევაკუაციის დაწყებას, ვინაიდან საბოლოოდ დროებითი ზავის შეკვრამდე არავითარი გარანტია არ არსებობს საბერძნეთის მხედრობის მოქმედების მიმართ. ანგორის მთავრობა წინადადებას აძლევს ბერძნებს შეუდგნენ ანატოლიის ევაკუაციას და სისტემატიურად განაგრძონ ევაკუაცია საზავო მოლაპარაკების დროს.

**ანგორა და სტამბოლი**

**ანგორა, 1 აპრილი.** გარდა დროებითი ზავის წინადადებისა პარიზიდან მიღებულია ახალი ნოტა, რომელიც წარმოადგენს პირშეცვლილს სევრის ხელშეკრულებას და წინადადებას აძლევს ანგორის მთავრობას დაექვემდებაროს იგი სულთანის მთავრობას.

**ანგლიის კონსერვატორები რუსეთის წინაალმდეგ.**

ლორდი ნორტკლიფის პრესა განაგრძობს კამპანიას მთავრობის წინაალმდეგ. „ტაიმსი“ თავისი მოწინავეში სწერს: უფრო მაგრად ბაწრის შემოჭერა თავის კისერზე, ვიდრე ეს გააკეთა მთავრობამ ბოლშევიკების ლიდერებთან მოლაპარაკების შედგომით მას არ შეეძლო. „მორინგს პოსტი“ მოელის, რომ მთავრობის ნდობის ვოტუმის რეზოლიუცია უფეხური იქნება. „დეილი ექსპრესი“ ხმებს ავრცელებს რომ ლოიდ ჯორჯმა თავის სიტყვაში წინადადება მისცა საბჭოთა მთავრობის ცნობისა და ამით სამუდამოთ ჩამოიშორებს კონსერვატორების მომეტებულ ნაწილს. გაზეთი ამბობს ასეთი მანევრი სასიკვდილო დანას დაკრავს კონსერვატორების ერთობას და გამოიწვევს ცენტრის პარტიის წარმოშვებას. ამ ჟამათ ნაწილობრივად გამოქვეყნებულია პრემიერის წერილი მიწერილი ჩემბერლენისადმი ორი კვირის წინად, რომელშიაც ის თანამდებობის დატოვებას სწერდა. ამ წერილში ამცნობს, რომ ის მზად არის მხარი მისცეს კონსერვატიულ მთავრობას მის შემადგენლობაში შეუსვლელად შემდეგი სამი პირობის მიღებით: ანგლო-ირლანდიის შეთანხმების ცხოვრებაში გატარება, უარყოფა რეაქციონურ პოლიტიკისა ინდოეთში წინადადების მიცემა, რომ გაგრძელებული იქმნას პოლიტიკა ევროპის აღდგენისა ზავისა და განიარაღებისა.

# ჟურნალ-გაზეთიდან

**ინგლისის კოლონიების ეკონომიური მდგომარეობა.** ინგლისის კომერციულ წრეების გადმოცემით, ინგლისის საქსოვი მრეწველობა ინდოეთში განიცდის დიდ ეკონომიურ დეპრესიის პერიოდს, მაშინ, როდესაც ადგილობრივ საფეიქრო წარმოებას დიდი და თვალსაჩინო წარმატება აქვს. ამ ადგილობრივ მრეწველობის განვითარება ხასიათდება როგორც საქსოვ მრეწველობის მასალის იმპორტის სიძნელით ომის დროს, ისე ომის შემდეგ აწეულ ფასებით ინგლისის მრეწველობის ნაწარმოებებზე.

ადგილობრივ ინდოელთა მრეწველობის განვითარებას ხელი შეუწყო როგორც ინგლის-ინდოეთის მთავრობის მიერ საგნების შეკვეთამ, ისე განგის ნაციონალურმა პროპაგანდამ, რომელიც ბოიკოტს უცხადებდა ინგლისის ინდუსტრიის ყველა ნაწარმოებს. ამას გარდა ინდოეთში იმპორტის ბედზე დიდი გავლენა იქონია საბაჟოს გადასახადის მაღალმა ფასებმა.

ინდოეთში, როგორც ჩინეთში მუშის საცხოვრებელი მინიმუმი ომის განმავლობაში სრულიად არ გადიდებულა. სასურსათო საგნებზე მუდმივი სიძვირის ზრდამ ადგილობრივ მუშისთვის შეუძლებელი გახადა ტანსაცმელის შეძენა, რომელიც მისთვის ფუფუნების საგნად გამხდარა. სამუშაო დღე მეტად გრძელია, ხელფასი კი სულ მცირეა.

„მანჩესტერ გარდიან კომერციალი“-ს ანგარიშით, ადგილობრივ საქსოვი მრეწველობა 1913—1914 წლის პერიოდის განმავლობაში—გამომუშავებული ყოფილა 116.430 მილიონი იარდი (91,44 სანტიმეტრი) ქსოვილი, 1920—21 წლის განმავლობაში აწეულა 158.035 მილ. იარდამდეს. „რა მხრით, ამბობს, „მანჩესტერ გარდიან კომერციალ“-ი ამ პერიოდებში ლანკაშირის მრეწველობას ამ საზღვაოთ კონკურენციასთან შეეძლება შეეგუება. 1913 წლით 6 მოყოლებული ინგლისის საქსოვ ნაწარმოების ექსპორტმა ინდოეთში იკლო 64 პროცენტით მაშინ, როდესაც დაზგების ექსპორტი, საქსოვ მრეწველობისთვის, გაიზარდა 50,400 ტონით 1913 წლამდის და 60.300 ტონით 1921 წ. ადგილობრივ სამრეწველოების ანალოგიური განვითარება აქვს ადგილი აგრეთვე სამხრეთ აფრიკაშიც, სადაც დაზგების ექსპორტი ყოველ წლივ იზრდება. და თუ დღეს სამხრეთ აფრიკა განიცდის მწვავე კრიზისის პერიოდს, მაშინ უკანასკნელის მდგომარეობა ხასიათდება, უმთავრესად, სამეურნეო სურსათის ფასების დაცემით.

უფრო კარგი და მტკიცე მდგომარეობა არის კანადაში. ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში, მაგრამ იქაც ექსპორტი უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გაიზარდა მაშინ, როდესაც იმპორტი ძირს ეცემა. ეს ამტკიცებს, რომ კოლონიების მდგომარეობა, ინდუსტრიალურ ქვეყნების მდგომარეობასთან შედარებით, შესამჩნევად უმჯობესდება და კანონიერად დაადგნენ დამოუკიდებლად თავისუფალ ეკონომიურ განვითარების გზას.

# ახალი ამბები

— **ზ. ჭიჭინაძის სურათი.** „ტრიბუნის“ რედაქციამ შეიძინა მხატვარ მოსე თოიძის ნახატი ზ. ჭიჭინაძის სურათი.

— **სავაჭრო სამრეწველოების სახლების აღწერა.** 10 აპრილის ქალ. სტატისტიკურ განყოფილებამ დაამთავრა ტფილისის ყველა სავაჭრო-სამრეწველობის სახლების აღწერა. აღწერილია 8000 სავაჭრო-სამრეწველო შენობა.

— **საფეიქრო კურსები.** ამ ცოტა ხანში ფარმაცევტების მიერ გახსნილ საფეიქრო კურსებზე უკვე 43 მსმენელია. მათ შორის 23 ტფილისელია, 20 უცხოელი, ქალების რიცხვი—18 მამაკაცთა—25 მათ შორის ქართველნი არიან—32, ებრაელნი—4, სომხები და

# მანიფესტაცია ნერვების

მე პოეზიისთვის გამოვშიგნე გული
და გზა ავირჩიე წვერწითელა ისკარიოტის.
ჩემი გზა ასე არი გადაქარგული:—
ბედი სნეულების, მყავე ტვინის, შხამის და იოდის.
თქვენ რა იცით
რამდენი ვიწვალე მე ჯოჯოხეთის კუბოში.
დაიცათ—
აქ თუ მოველი
ბინა ჩემზე დარჩა ეშმაკის უბეში.
თქვენ გგონიათ—მე ეხლა დავიბადე.
მე ზურგით მომაქვს ყველა პოეტების მძიმე ბედისწერა.
იმიტომ დავდივარ მე ალმაცერა
და იმიტომ ვგავარ მე ურიას.
მე სულ გავიძახი მწყურია მწყურია,
როგორც აგვისტოში დედალი ძერა.
მე სულ მეშინია და ვერიდები ყველას.
არავინ იცის ჩემი ვინაობა.
მე ისე დავიწყებ სისხლით ხველას,
რომ ჩემზე იტირებს შვიდი თაობა.
ასე დავიბადე უხეირო.
ალბად ბედმა დამცინა ვერაგულად.
მოხდა ასეთი სეირი:
ძარღვები დამიშხამეს
და ჭრელი თუთიყუში ჩამიდვეს გულად.
თქვენ ნუ იფიქრებთ ჩემზე ცუდ რამეს.
მე საწყალი კაცი ვარ და მეტად შესაბრალისი.
მამა ჩემი ქალამნით იხდიდა დრამას—
და მეც ხომ თოფნაკრავი ბუ ვარ ჩვენი წაბლარისა.
ეს არ არის ბიოგრაფია.
და პოეტებო, სიცილით ჩემთან ნუ გაჩერდებით:
ეს იმ სისხლის ქაფია,
როცა უკანასკნელ ლურსმანს კუბოს აჭედებენ.

**ნიკოლოზ მიწიშვილი.**

გერმანელები სამ სამი, პოლონელები—1.

— **ტფილისის ბირჟა.** 10 აპრილს ტფილისის ბირჟაზე უცხო ვალიუტას კურსი გამოიხატება შემდეგში:

(ათ მან.)

| | |
|---|---|
| ოსმალ. ლირა ოქრო | 835 |
| ლირა (ბანკნოტ.) | 180 |
| იტალიის ლირა | 12 |
| საფრანგეთ. ფრანკი | 22—23 |
| გერმანიის მარკა | 1,1. |

მოთხოვნილება დიდია უფრო ოსმალურ ლირისა და დოლარის. წინადადება სუსტია.

— **ს. რ. პროფ. კავშ. ყრილობაზე** სრულიად რუსეთის პროფ. კავშირის V-ყრილობაზე ორგ. ბიურო გზავნის ამხ. ხოჯაიევს.

— **ბათომის ნავთსადგური.** ბათომის რუნავთსადგურში 5 აპრილს ჩამოვიდა სეთის გემი „ფელიქს დზერჟინსკი“ და თან ჩამოიტანა 480 ფუთი სხვა და სხვა საქონლის ტვირთი. 6 და 7 აპრილს ჩამოვიდა ინგლისის „შეფფილდი“ იტალიის გემი „ალდო“, ამერიკის „კანტარე“ და რუსეთის „იგნატი სერგეევი“ ჩამოტანილი საქონელი უდრის 156,451 ფუთს. ნავთსადგურიდან გავიდა. 6 აპრილს ინგლისის „ბრესია“ და „გავენ პარკი“, იტალიის „დინამორე“ საფრანგეთის „მარშალ ფოშე“. გემებმა 40 ტონის საქონელი წაიღეს.

— **კოლონია როზა ლიუქსენბურგისა** მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს დადგენილებით და საქ. ს. ს. რესპუბლიკის რევკომისა, ბორჩალოს მაზრის ეკატერინოფელდის კოლონიას სახელად ერქმევა კოლონია როზა ლიუქსემბურგისა.

— **მალარიის წინაალმდეგ.** ტფ. ქალ. აღმ. კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა რა ჯანმრთელობის განყოფილების გამგის მოხსენება მალიარიის წინაალმდეგ, საბრძოლველად, რომელსაც ხშირად აქვს ადგილი ვაკეში და საბურთალოში დაადგინა: მალარიასთან ბრძოლა გამოაცხადოს სახელმწიფო საქმედ. ამ მიზნით აღძრული იქნება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რომ მიღებულ იქმნეს მალარიასთან საბრძოლველად მთელი რიგი ზომები და მცხოვრებთ გაუწიონ დახმარება როგორც ქინიქინის მიწოდებით, ისე სხვა საჭირო მასალით.

— **თავდასხმა.** აპრილის 9 ს ღამის ათ საათზე ტფილისისაკენ მომავალ საგარეჯოს რაიონის ვეტერინალურ ექიმს ს. ლეონიძეს თავს დაესხნენ 6 ბოროტმოქმედი. ხმაურობაზე ლეონიძეს მიეშველებიან მილიციონერები და ბოროტმოქმედები დაუჭერიათ. ს. ლეონიძე დაუჭრიათ და ამ ჟამად არამიანცის საავადმყოფოში არის მოთავსებული.

— **მონადირეთა კავშირი.** მონადირეთა კავშირის ყრილობაზე, რომელიც შესდგა ტფილისში ამ დღეებში—დელეგატებად ყოფილან 21 კაცი. მათ შორის დელეგატებად გამოგზავნილი იყვნენ; ქუთაისიდან ბათომიდან, სენაკიდან, ხონიდან, ხაშურიდან შორაპნიდან, ლაგოდეხიდან და ფოთიდან. ყრილობამ გასტანა სამი დღე.

— **ვეტერინალური საქმე საქართველოში.** აღმოსავლეთ საქართველოში (ახალქალაქის მაზრაში) ამ ჟამად მძვინვარებს საქონლის შავი ჭირი. დასავლეთ საქართველოში შავი ჭირის ეპიდემია არ არის, ეს აიხსნება იმით, რომ იქ თითქმის ყველგან აცრეს საქონელს. აღმოსავლეთ საქართველოში ამ სენის მოსასპობად მიღებულია ზომები, რასაც ვეტერინალური განყოფილება შეუდგა საჭირო ვაქციონების და მასალის დამზადებას.

— **ბრძოლა ხოლერასთან.** ამ დღეებში შესდგა მორიგი სხდომა საგანგებო ეპიდემიური კომისიისა, რომელმაც იქონია მსჯელობა დამდეგ ზაფხულში მოსალოდნელ ხოლერის წინაალმდეგ ზომების მიღებაზე.

— **დამწვარი სიმინდი.** საჯავახოში გაჩენილ ცეცხლის დროს გადამწვარა საქართველოს დამშეულთათვის გადადებული 600 ფუთი სიმინდი.

— **სამეცნიერო შრომა.** დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ტფ. ბოტანიკურ ბაღის მიკოლოგის ნ. ვორონინის სპეციალური სამეცნიერო შრომა: „სოკოს და ბაკტერიოლოგიური ავადმყოფობა—სამეურნეო მცენარეებში“. წიგნი შეიცავს 440 სტრიქონს.

— **საქართველოს დამშეულთათვის.** საქართველოს დამშეულთა მთავარმა კომიტეტმა ყველა სამაზრო კომიტეტებს დაუგზავნა ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა აწარმოონ საქართველოს დამშეულთათვის შემოწირულების მოგროვება.

— **გერმანიის საავადმყოფო.** ტფილისში გერმანიიდან ჩამოვიდა ექიმი სიმსი, რომელიც დანიშნულია ტფილისში არსებულ გერმანიის საავადმყოფოს მთავარ ექიმად.

# სამხატვრო ქრონიკა

— **ბინის საკითხი ხელოვანთა კავშირში.** სახალხო განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა, აღძრას შუამდგომლობა ქალ. აღმ. კომ. წინაშე, საქართველოს ხელოვანთა კავშირის წევრებს მიეცეს პირველ კატეგორიის მოსამსახურეთა უფლებები ბინის ქირის გადასახადის საკითხში და მიეცეთ მათ საშუალება სამუშაო კაბინეტის დაქირავებისა.

**დამსახურებული მწერლები და აკადემიური ულუფა.** სახ. განათლების კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს სახ. კომისართა მცირე საბჭოს წინაშე იმ დამსახურებულ მწერლებს, რომელთაც ეძლევათ აკადემიური ულუფა, თანახმად 1921 წ. აგვისტოს 25 გამოქვეყნებულ დეკრეტისა, სანაცვლოდ მიეცეთ სათანადო თანხა.

— **ხალხსახლ ული წარმოდგენა.** აღდგომის მესამე დღეს რუსთაველის თეატრში ქართული დრამა სცენაზე ა. ცაგარელის ისტორიულ პიესას „ქართველ დედას“.

— **წარმოდგენა საქართველოს და რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ.** აღდგომის მეორე დღეს სახელმწიფო ოპერაში საქართველოს და რუსეთის დამშეულთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება [illegible]

# საქ. სახ. კომ. საბჭოს საინფორმაციო განყოფილების ბიულეტენი

**შეღავათი ნატურალურ გადასახ დში.** სასურსათო კომისარიატის შუამდგომლობით, სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილება ზოგიერთ რაიონებისათვის ნატურალურ გადასახადზე შეღავათის მიცემის შესახებ შემდეგი სახით:

**დუშეთის მაზრა:** სოფ. სადევისათვის დაყვანილ იქნას კარტოფილის მოსავლიანობის მესამე ხარისხი მეორეზე; სოფ. ნავდარიანთ-კარი, ზაქარო, გოლოვანი და ხეობისათვის,—შემცირებულ იქნას გადასახადი შემდეგი სახით: სოფ. ხეობისათვის—50 პროცენტიდან 25 პროცენტამდე, დანარჩენში კი 25 პროცენტიდან 8 პროცენტამდე. სამი პირველი სოფლის მოსავლიანობის მეოთხე ხარისხი დაყვანილი იყოს მესამეზე; სოფ. ბისელი, ჩაკალური, წუწუნაური, ზანდუკი, აქალანტი, ჩოლის წყარო და ნადუასთვის სტიქიური უბედურების გამო მოსავლიანობის მეექვსე ხარისხი დაყვანილი იქნეს მეხუთეზე და გადასახადი შემცირდეს 66 პროცენტიდან 20 პროცენტამდე; გადაყვანილ იქნას მეოთხე ხარისხიდან მესამეში სიკორამოს რაიონის სოფლები: შამკევანი, დავათი, ჩოპატი, ლიცმენტი, ბელაჩაური, გურამიანთ-კარი და შემცირებულ იქნას მათი გადასახადი 60 პროცენტიდან 25 პროცენტამდე; განთავისუფლდეს სრულიად ხორბალზე ნატურალური გადასახადისაგან სოფ. განსის მცხოვრები ნიკო მეჭავრიო.

**რაჭის მაზრა:** სოლარიბის გამო განთავისუფლებულ იქნან ნატურალურ გადასახადისაგან სოფ. ჭყინისის მცხოვრებნი კარკიაშვილი და კიკნაძე და სოფ. ტოლის 27 კომლი შემცირებულ იქნას სოფ. მოტყავის მცხოვრებ მიქიაშვილზე 30 პროც. სრულიად განთავისუფლებულ იქნას სოფ. სადმელის მცხოვრები შარაბიძე; შემცირებულ იქნას ონის მცხოვრებ გურგენიძეზე ღვინის გადასახადი; განთავისუფლებულ იქნას სრულიად სოფ. ბუბის მცხოვრები კაციტაძე და ღვინის გადასახადისაგან ჯაბაშვილი; შეუმცირდეს გიორგი სადარაძეს და გრიგოლ ბაბურაძეს 50 პროცენტით; განთავისუფლდეს სრულიად სორის მცხოვრები ჯოლაშვილის ქვრივი და ნიკორწმინდის მცხოვრები კობახიძე.

**ლეჩხუმის მაზრა:** განთავისუფლებულ იქნას სოფ. ჭყვიშის, ღუნხას და გენდუშის მცხოვრებნი ღვინის გადასახადისაგან.

**ოზურგეთის მაზრა.** განთავისუფლებულ იქნას სასურსათო გადასახადისაგან ნიგოითის რაიონი და შუხუთის თემი; თემები: ზემო-ხეთის, კოხნარის, სურების დიდი-ვანის, ზემო-სურების, ბაკის-ცხის ერკეთის. ხევის, ჯვარცმის, ჩოხატაურის ხიდისთავის, ამაღლების, ასკანის, ლანჩხუთის, შუქნარის ჩიჩხიქის, აკეთის, ნაგომარის და აცანის—განთავისუფლებულ იქნას 3|4 სასურსათო გადასახადისაგან: თემები: ძიმითის, სილაურის, სუფსის, ჩოჩხათის, ხიდვზიანის, ცაცხვიანის, ჯურუკვეთის, მიქელგაბრიელის, სამეთის, ხვარბეთის და გურიანთის—სასურსათო გადასახადის 1|3 საგან; თემები; ბახვის, ლიხაურის, ოზურგეთის შემოქმედის, ცვაზბის, ჩიბათის და ჯუმათის—სასურსათო გადასახადის ნახევრისაგან. განთავისუფლებულ იქნენ ღვინის გადასახადისაგან ყოველი ოჯახი, რომლის ვაზის სივრცე არ აღემატება 120 კვადრ. საჟენს.

**სასურსათო სამეულები.** სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სასურსათო სახალხო კომისარიატის ცირკულიარი სასურსათო გადასახადის სამეულების შესახებ რომელნიც უნდა დაარსებულ იქნან კომიტეტებში სასურსათო კამპანიის რიგიანად ჩასატარებლად. კომისიაში შედიან; მაზრის კომისარი, მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე და პარტიის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელი. სამეულს ნება ეძლევა ადგილობრივ გამორკვიოს გადამხდელთა შესაძლებლობა და ამისდა მიხედვით შეუმსუბუქოს ლარიბებს გადასახადი და შემციროს მისი ნორმა, რის შესახებაც უნდა აცნობოს სასურსათო კომისარიატთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიას დასამტკიცებლად.

№ 3 **ახალგაზრდათა ხმა** № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ახალგაზრდათა ხმა“
გამოვა ხუთშაბათობით.
წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით—ტფილისი „ტრიბუნის“ რედაქცია, სასახლის ქ. № 6.
მასალები ერთ გვერდზე უნდა იყოს დაწერილი, აგრეთვე ზედ უნდა იყოს წარწერა „ახალგაზრდათა ხმისათვის“.

## საუბარი ამხანაგებთან

I

თუ ოდესმე საჭირო იყო ამხანაგებო საუბარი გაგვემართა ურთიერთშორის და მოგვეხდინა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მით უფრო საჭიროა დღეს ასეთი საუბარი, როდესაც მეტად რთულ მომენტში გვიხდება ცხოვრება.

ყველა თქვენგანმა კარგად იცით, თუ რისთვის გვიხდება დღეს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ერთმანეთის აზრს და ყოველი ამხანაგის გულის ნადები გავიგოთ და გავეცნოთ, ეს საჭიროა რომ უფრო მჭიდრო კავშირი გვექნეს ერთმანეთთან და საერთო ძალით ვიმუშაოთ საერთო საქმისათვის.

დღეს ჩვენ შეკრებილი ვართ ჩვენს დედა ქალაქში და შეძლებისა დაგვარად ვაწარმოებთ პარტიულ მუშაობას. კარგად გეცოდინებათ ამხანაგებო, რომ ჩვენი შემადგენელი ნაწილები, გუშინ არ შევყრილვართ. დიდი ხანია რაც მიზნათ დავისახეთ ჩვენი მოძღვრის არჩილის იდეა, ერი და სოციალიზმი და ამ მიზნისათვის ბევრი რამ გადაგვხდა თავს. არცერთი ჩვენი ამხანაგი არ გამოკლებია იმ რიგებს, რომელიც მოწოდებული იყო ქართველი ერისა და ქართველი ხალხის ხსნისათვის. ყველგან, სადაც კი შესაძლებელი იყო და რაც კი შეგვეძლო ვმუშაობდით და დღესაც განვაგრძობთ ჩვენს მუშაობას.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ჩვენ ჩამოგვცილდენ ის ამხანაგები, რომლებთან ვმუშაობდით წინეთ, მენშევიკური საქართველოს დროს. ახალგაზრდობა ორად გაიყო ისე, როგორც უფროსი ამხანაგები და გუშინდელი ამხანაგი დღეს მოწინააღმდეგის ბანაკშია მოქცეული. ეს მოვლენა რა თქმა უნდა ცუდია. მთელი ჩვენი წადილი იქითკენ იყო მიმართული, რომ ახალგაზრდობაში მაინც დაცულიყო მთლიანობა ვიდრე ახალგაზრდათა კონფერენცია შეიკრიბებოდა, მაგრამ ყოფილი ამხანაგების შეუთანხმებლობამ გვაიძულა ცალკე დაგვეწყო მუშაობა.

ამიტომ საჭიროა თვალი გადავავლოთ ჩვენსა და მათ განსხვავებას, რომ ნათელი გავხადოთ ამხანაგებისათვის ორივე ბანაკის მიზნები.

ვისაც შემთხვევა ჰქონდა წაეკითხა ჩვენი ყოფილი ამხანაგების მოწოდება, რომელიც მათ გამოსცეს 26 იანვარს, ის დაინახავდა თუ რაოდენი სიბინძურეს მოგვაწერდენ მოწინააღმდეგენი და მოღალატეებსა და გამცემლებს გვიწოდებდნენ. ჩვენ რა თქმა უნდა თავი დავანებოთ ლანძღვა გინების პასუხს და შევეცადოთ ჩვენი საუბარი უფრო მნიშვნელოვან საკითხების შესახებ შევაჩეროთ, რადგან ლანძღვის პასუხი შეუძლებელიცაა თუ ისევ იმავე იარაღს არ მივმართავთ.

მაშ რაშია უმთავრესი განსხვავება ჩვენსა და ჩვენს ყოფილ ამხანაგებს შორის?

ეს განსხვავება თანამედროვე მდგომარეობის გაგებაშია. მათ ჰგონიათ, რომ დღეს მზად არ არის ნიადაგი, რომ დაიწყოს მოსამზადებელი ხანა სოციალისტური წყობილების განსამტკიცებლად. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ასეთი ხანა უკვე დაიწყო და ჩვენი ერის თავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილი გახდეს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო მოძრაობის საშუალებით.

ერთი უმთავრესი საკითხი, რომლის გადაწყვეტა დიდ როლს ასრულებს ჩვენს გათიშვაში—ეროვნული საკითხია.

ისინი ფიქრობენ, რომ... მაგრამ გულწრფელად უნდა გითხრათ ამხანაგებო, რომ არ ვიცით რას ფიქრობენ. არც კონფერენციაზე და არც სხვაგან ჩვენ არ გვსმენია ჯერ მათგან თუ როგორ შეიძლება საქართველოს თავისუფლების უზრუნველყოფა. არ იფიქროთ ამხანაგებო, რომ მათ საშუალება არ ქონდეს წერისა, არა, მათ გამოსცეს ერთი პატარა წიგნაკი, რომელსაც ეწოდება „რა მოხდა?“ ამ წიგნაკში ყველაფერია. ისეთი სიტყვებით არის დაწერილი ეს წიგნაკი, რომ პატიოსანი კაცი გულდასმით ვერ წაიკითხავს. ამ წიგნაკში ერთი მიზანი ყოფილა დასახული. ეს მიზანი ჩვენი გინებაა ამ სიტყვის ქუჩური მნიშვნელობით. ეს მიზანი, მართლაც მიღწეულია. ამას გარდა ისინი საქართველოს შესახებ არაფერს ამბობენ.

ჩვენ დღესაც არ ვიცით თუ რა უნდა ჩვენს გუშინდელ ამხანაგებს. ჩვენ ვიცით ყველა პარტიის სურვილი და მიზანი, მაგრამ არ ვიცით ჩვენი ამხანაგების სურვილი.

თუ როგორაა ეს შესაძლებელი.

ამაზე შემდეგ.

**ს. კვინწულისპირელი.**

---

„როცა ჩვენ ნათლად გავიგებთ იმას, თუ რითა ვართ დაკავშირებული ძველ თაობასთან, რა გვაქვს მასთან საერთო და რა არა, მაშინ და მხოლოდ მაშინ შევიგნებთ იმას, რა გზით უნდა ვიაროთ მომავალში, დავინახავთ ჩვენს საკუთარ პიროვნებას, გამოჩნდება ახალი თაობის ახალი პროგრამა“.

**არჩილი**

---

## არჩილ ჯორჯაძე *)

დღეს სრულდება ცხრა წელი მას შემდეგ, რაც საქართველომ დაჰკარგა საუკეთესო მამულიშვილი და დიდი პოლიტიკური მოაზროვნე, ჩვენმა პარტიამ კი მისი დამაარსებელი ბელადი არჩილ ჯორჯაძე.

ვინც იცნობს საქართველოს, მას კარგად ეცოდინება თუ ვინ იყო არჩილი, ის არჩილი, რომელმაც მთელი თავისი ახალგაზრდობა შესწირა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესებს.

ვის არ ახსოვს არჩილის თავდადებული მუშაობა, რომელსაც იგი მთელი თავის სიცოცხლეში აწარმოებდა, მხოლოდ იმისთვის, რომ საქართველო და ქართველი ხალხი ჩაეყენებია თავის განვითარების ნორმალ პირობებში.

ჩვენ გვახსოვს არჩილის მაშინდელი დაუღალავი მუშაობა შავ გენერლების და ცარიზმის წინააღმდეგ და აგრეთვე ისეთ ჯგუფების, რომელნიც ვითომდაც „სოციალისტობდნენ“ და რომელთაც ვერ მოენელებიათ უბრალო საქართველოს ავტონომიაც კი, რადგანაც ავტონომია მათი აზრით ეს ღალატი იყო.

და აი ამ ლოზუნგის ირგვლივ არა ერთხელ და ორჯელ გაუკრავთ ჯვარზე ჩვენი უფროსი ამხანაგები, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ამტკიცებდნენ შესაძლებლობას ნაციონალური გზით ინტერნაციონალისაკენ.

დღეს ჩვენ ფაქტის წინ ვდგევართ და თამამად შეიძლება დაისვას კითხვა ვისმა იდეამ გაიმარჯვა? არჩილისამ თუ იმ ჯგუფისამ, რომელნიც ხალხს ფედერალიზმს ფეოდალიზმად უმარტავდნენ.

რასაკვირველია არჩილმა გაიმარჯვა.

ვინ არ გინდათ დღეს, რომ არჩილის იდეით უმთავრესად არ სარგებლობდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ ნაბიჯის გადადგმის დროს. თითქმის ყველა ის პოლიტიკური პარტიები, რომელთაც უხვად დღეს მუშაობა მსოფლიოს მასშტაბით.

მართალია ჩვენ მისი მოსწავლეები და საერთოდ ჩვენი პარტია დღეს საერთაშორისო მოძრაობაში არ ლებულობს თვალსაჩინო როლს, მაგრამ ჩვენ მაინც ვამაყობთ, რომ არჩილის იდეების წინაშე ძლიერებულად ქედს იხრიან თითქმის ყველა სოციალისტები.

დღეს ცხრა წლის თავზე ჩვენ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ახალგაზრდობა მუხლს იდრეკს არჩილის წინ და ფიცავს, რომ იგინი არასოდეს არ უღალატებენ არჩილის იდეებს და ყოველთვის მზად ვიქნებით მსხვერპლად შევეწიროთ მას, თუ კი საჭიროება მოითხოვს.

არასოდეს არ მივცემთ თავს იმის ნებას, რომ არჩილის იდეებით ვაკეთოთ ის საქმე, რომელიც საქართველოს ერისათვის მიუღებელია, როგორც ამას დღეს სჩადიან ჩვენი ყოფილი მემარჯვენე ამხანაგები.

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არჩილი არ მომკვდარა და არც მოკვდება მანამ ცოცხლობს და იცოცხლებს საქართ. მემარც. სოც.-ფედ. პარტია.

**გ. ლახკარი.**

*) ეს წერილი დაწერილი იყო არჩილის ნომრისათვის.

---

„... თუ წინად ეროვნების შესახებ ლაპარაკი ქართველ პუბლიცისტისათვის ერთგვარი გულის მოსაფხანი საშუალება იყო, ეხლა ამ ლაპარაკს საქმიანობის ელფერი დასდო. პუბლიცისტი აღარ ჰგოდებს, აღარ იმსჭვალება სევდით, იგი ეძებს პრაქტიკულ გზას, რომელშიაც მას სწადიან ეროვნული ცხოვრების ჩაყენება“.

**არჩილი.**

---

## ჩვენი მომავალი

ქართველი ახალგაზრდობა თავისი მოფლმხედველობით როგორც წარსულში, ისე დღესაც ჩვენთანაა.

ახალგაზრდობა ჩვენ მხედველობას, როგორც მდგომარეობით ისე შეგნებით უკავშირდება. ახალგაზრდობა საზოგადოთ, ის ცოცხალი ელემენტია რომელიც ყოველთვის ახალის ძიებაშია ის ვერ ეგუება მოძველებულ ცნებებს, რომლებმაც დრო მოჭამა.

ჩვენ ახალგაზრდობას დღემდის არ ქონდა საშვალება ეწარმოებია თავისუფლად პარტიული მუშაობა, ამაში ბრალი მიუძღვის ჩვენ ძველ უფროს ამხანაგებს, რომლებმაც არავითარ ანგარიშს უწევდენ ახალგაზრდობას და პარტია გადაგვარების გზაზე დააყენეს. ახალგაზრდობა კი წინააღმდეგ ამისა, ყოველთვის იმის ცდაში იყო, რათა ჩვენი პარტია გადაერჩინა ამ ხახლისაგან და დაეყენებინა სწორ გზაზე, მაგრამ ამისათვის მას არ ქონდა თავისუფალი გასაქანი. მისი უფლებები შეზღუდული იყო.

ამიტომ ახალგაზრდობა ყოველთვის პარტიაში მემარცხენე ფრთას უკავშირდებოდა.

ახალგაზრდობა ყოველთვის გარკვეული მოწინააღმდეგე იყო პარტიის გაურკვეველი პოლიტიკის და რევოლიუციონერი ტენდენცია შეჰქონდა პარტიაში.

დღეს, მართალია ზოგი ამხანაგი მოიცვა პედანტიზმის ავადმყოფის ქვეშ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მომენტია, რომელიც აუცილებლათ გაივლის და შეგნებული ახალგაზრდობა ჩადგება იმ რიგებში, სადაც აქტიური ბრძოლა სწარმოებს ყოველივე მონობის წინააღმდეგ და ეროვნული და მუშური ინტერესების დამცველნი საზღვრისწერო ბრძოლის დროს ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ მუშაობს.

ახალგაზრდობა ახალი ქვეყნისაკენ ისწრაფვის, იგი ახალის, მომავლის წინამორბედია, ახალგაზრდობა ერის მომავალია და ჩვენი ახალგაზრდობა საუკეთესო თვალი უნდა იქნეს საქართველოს პოლიტიკურ მოძრაობის ისტორიაში.

ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია. იგი მომავალი მესვეურია ეროვნული კულტურის და მშრომელი ხალხის ყოფაცხოვრების.

**გ. მდივანი.**

---

„ეროვნული პრობლემის სიძნელე თეორეტიული სიძნელე არ არის. თეორიაში ყოველივე მწყობრად სწყდება და ლაგდება. სიძნელე იწყება იმ დროიდან, როდესაც ეროვნული პრობლემა ჩვენ ნდათ გადასწყვიტოთ კონკრეტიულ პირობების მიხედვით, როდესაც ანგარიში უნდა გაუწიოთ მრავალ მოვლენათ, რომელთა არსებობა თეორიის მხედველობაში არ მიუღია“.

**არჩილი.**

---

## პარტიული ცხოვრება

ხუთშაბათს 7 ამ თვეს საღ. 5 საათზე „ტრ.“ რედაქციაში დანიშნულია ახალგაზრდათა დრ. კავშირის სხდომა.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

**პრეზიდიუმი.**

— დღევანდელ ნომერში ამხ. სერ. ამაღლობელის მოხსენება, რომელიც წაკითხული იყო კრებაზე, ადგილობის გამო არ იბეჭდება.

---

## მოგონებიდან დღევანდლამდე

ეს მოგონება არის.

ალბათ 1912 წელი იყო.

რიონის სადგურში უცდიდით მუხიანიდან გამოსულს მატარებელს.

პატარა გიმნაზიელი მივჩერებოდი დატრაურებულ ხალხს და მეც თითქოს ვწუხდი რაღაცაზედა.

ქართული გიმნაზიის ხოროს ვახლდი.

ქუთაისიდან წამოსვლისას გვითხრა ლოტბარმა „დიდ კაცს ვასვენებთო“.

ჯერ კიდევ არ ვიცოდი ვინ იყო არჩილ ჯორჯაძე, მაგრამ ჩემი გულიც ტიროდა, თითქოს მას თავისი სამუდარი დაეკარგოდეს.

გირლიანდებით შემოსილი ვაგონი ჩამოდგა.

ღამე ნათევი და დამშიშებული სახეები ჩამოყვა ცხედარს.

გლოვა დიდი იყო, მაგრამ ეს გლოვა ტრაურში და სულის მოელვარებაში იმალებოდა.

მესამე ზარიც. დამძიმებულ მატარებელს სულთათანა გავატანეთ ტფილისისაკენ...

მას აქეთ მაინტერესებდა ვინ იყო არჩილ ჯორჯაძე.

და აი მეც მივედი ეროვნულ ... ვაების წვიმისაგან დასველებული ... ჰერ ქვეშ თავშესაფარად.

ვიცანი არჩილი და მივხვდი ... რისთვის წუხდა ასე გაუგებრად ჩემი გული.

ვინ იყო არჩილი?

ვინ იყო? განა ეს ქართველმა ... მა კი იცის? ეს კითხვა ინტელიგენ... ციის მცირე ნაწილისათვისაც ძლი... არის გამორკვეული.

ასე გაუგებარი და მიუწვდომელი საქართველოს აზროვნების ფოკუსი... არჩილ ჯორჯაძე.

ერი და სოციალიზმი.

საქართველო და მშრომელი ხალხი.

აი მისი მთელი მოღვაწეობ... იდეალი.

ჯერ კიდევ რუსიციზმისა ... მთლიანი რუსეთის იდეიის დრო... მან პირველად ასწია დროშა ეროვ... ნული და ქართველ მშრომელ მას... შესძახა „ნაციონალიზმით ინტერნა... ციონალიზმისაკენ“.

არა თუ ეს დიდი სოციალ-პოლი... ტიკური საკითხები აინტერესებ... მას, მისმა დაღლილმა და მუდ... ჯანსაღმა სულმა სიკვდილ-სიცოც... ხლის პრობლემებსაც შეაშუქა.

მიუხედავათ იმისა რომ იგი სნე... ული—გაიძახოდა არ ვიცით საიდა... მოვდივართ, არ ვიცით საიდან მი... დივართო, არ ვიცით სადარის სიცო... ცხლის თავი და ბოლო—მაინც მ... დგრათ იდგა და ყოველ პატარ... წვრილმან საკითხებსაც ეტანებოდა, რადგან იცოდა, რომ მათაც ქონდა... ეროვნული ღირებულება.

ხელოვნება, ფილოსოფია, რე... ლიგია, პოლიტიკა მისი კვლევ... ძფეროს წარმოადგენდა.

მისი სული ვერ ითმენდა შებო... ვას. საქართველო—საჭიროებდა ყო... ველი დარგის გაშუქებას და მისი ნა... თელი და დარბაისული გონება ყვე... ლასფერისათვის მზად იყო.

მან იცოდა რომ “სიცოცხლი... უფლება მხოლოდ იმას ენიჭება, ვი... საც აქვს ცხოვრებისათვის საჭირო იარაღი—თავის რწმენა და დამოუკი... დებელ მოქმედების უნარი“—სწო... რედ ამისათვის იყო საჭირო ყვე... საჭირ-ბოროტო საკითხების გარკვე... ვა და არჩილი ბუნებით ფილოსო... ფოსი თვის კალამს უბრალო საკით... ხებზედაც კი ღალავდა.

სად უნდა ვეძიოთ ჩვენ წარსული... შეფასება?

სად ვნახავთ 60—80 წლების სა... ზოგადოების სახეს, კრიტიკას?

არჩილის ნაწერებში.

ვინ მოგვცა ინტელიგენციის სუ... რათი და მისი დაფასება?

არჩილმა.

და განა იქნება ისეთი საჭირბო... როტო საკითხი, რომელზედაც არ... ჩილის კალამს დინჯი პასუხი ა... გაეცეს?

ამიტომ არის ჩვენ —ახალგაზრდობ... გლოვის ნაცვლად ვდღესასწაულობ... მისი გარდაცვალებიდან 9 წლის თავს.

ჩვენი აღმზრდელი არჩილ ჯორ... ჯაძე ყოველთვის ცოცხალი იქნებ... ჩვენთვის.

იგი მარადის უკვდავი იქნება, სა... ნამ ერი და მშრომელი მასსა იარ... სებებს.

ეს ხომ მარადიული მცნებებია და მაშასადამე არჩილის სახელიც მარა... დიული იქნება.

**კოლია ჩაჩავა.**

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი